



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 246

2016 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების 2016 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 13 ივლისის N 144 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის (03.11.2016, N1321143; 23.12.2016, N1526640) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების 2016 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 13 ივლისის N 144 ბრძანების დანართის მეორე პუნქტში თანდართული დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 26 დეკემბრის N 246 ბრძანებით

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	შენიშვნა
2	DI-2016-38	ტუბერკულოზის, მათ შორის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელების დინამიკის შესწავლა საქართველოში	საქართველოს ფტიზიოლოგთა და პულმონოლოგთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო	ხელფასების ლიმიტი დარღვეულია პირველ და მე-2 წელს. ქართული და ინგლისური ბიუჯეტები განსხვავდება ერთმანეთისგან ხელფასების მუხლში, ასევე განსხვავებულია ტრანშები. წლიური ლიმიტები ირღვევა ინგლისურის მე-2 და ქართულის პირველ ტრანშში- აღემატება 70000 ლარს